ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 300

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის №22.969.1070 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011) *პირდაპირი განკარგვის ფორმით*, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, დანართი 1-ით მოცემულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემისა და მათთან ამ განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი 1

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ქ. თბილისი, ყვარლის ქუჩა №101ა		
			ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი
1	ლალი ბუნტური	01011009451	76.26	სართული 1	01.17.08.025.011.01.505
			16.64	სართული 1	01.17.08.025.011.01.507
2	მაგული ნიქაბაძე	01019020730	36.31	სართული 1, (შენობა №1)	01.17.08.025.011.01.501
3	ლაშა კალანდაძე	01011020595	72.97	სართული 1, (შენობა №1)	01.17.08.025.011.01.500
4	ნოდარ კალანდაძე	01011047186	10.69	სართული 1	01.17.08.025.011.01.506
5	შამილი გოლეთიანი	01011014488	35.34	სართული 1, შენობა №1	01.17.08.025.011.01.502
			12.06	სართული 1	01.17.08.025.011.01.509